371
უ-308

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მაია თედორეს ასული უთურგაიძე

დაწყებით კლასებში ქართული ენის (მორფოლოგიისა და სინტაქსის) სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ანალიზი

13.00.01 — პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ავტორეფერატი

დისერტაციისა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999 წ.

371 -1791-
უ-308
-1791-

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი	- ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, იათამზე კოტეტიშვილი
ექსპერტი	- ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა იმედაძე
ოფიციალური ოპონენტები:	- პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე
	- ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მარიამ მირიანაშვილი.
წამყვანი ორგანიზაცია:	- საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წ. 28 დეკემბერს, 12 საათზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს - PD.13.00. CN1 სხდომაზე (თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 32).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 28 ნოემბერს 1999 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი -
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (ც. ლოლაძე)

I. ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა. საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა ითვალისწინებს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განახლებას. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის მშობლიური ენის სახელმძღვანელოებიც, რადგანაც ქართულ ენას წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სკოლებში. ეს სავსებით მართებულია, ამიტომაც უწოდებდა ი. გოგებაშვილი ენას „ეროვნების ბურჯს".

მშობლიური ენის კანონზომიერებების ცოდნა და მათი სწორი გამოყენება აუცილებელია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის.

ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტას – სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განახლებასა და შექმნას ემსახურებიან ენათმეცნიერები და მეთოდისტები. მათ უნდა შექმნან ახალი სახელმძღვანელოები და მეთოდური მითითებები, რომლებიც გააუმჯობესებენ ქართული ენის სწავლებას სკოლაში.

გარდაქმნის ამ პროცესში ფსიქოლოგებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. სწორედ ამ თვალსაზრისით ავირჩიეთ სადისერტაციო თემა. მიზნად დავისახეთ გრამატიკული ცნებების დაუფლების პროცესის შესწავლა დაწყებით კლასებში.

ვფიქრობთ, რომ ფსიქოლოგების მიერ დამუშავებული კორექციული და რეკომენდაციული მასალა საინტერესო უნდა იყოს როგორც მეთოდისტებისათვის, ასევე პედაგოგებისა და სახელმძღვანელოს შემდგენლებისათვის.

ცნობილია, რომ მოსწავლეებს ძნელად უყალიბდებათ უნარი, გრამატიკულად სწორად გააფორმონ ვერბალური მასალა. სპეციალური ლიტერატურიდან ვიცით, რომ პედაგოგები და მეთოდისტები ხშირად აღნიშნავენ გრამატიკული შეცდომების დიდ რაოდენობას მოსწავლეთა ზეპირ და წერით მეტყველებაში. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ მორფოლოგიასა და სინტაქსში შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენება უფრო უჭირთ მოსწავლეებს, ვიდრე ამ თეორიის დაუფლება.

ამ სიძნელეების დაძლევა, ჩვენი აზრით, მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ჩავწვდებით მათ გამომწვევ მიზეზებს. უნდა გავარკვიოთ სასწავლო საგნის სპეციფიკა და ის ფსიქოლოგიური მოთხოვნები, რომლებსაც ეს სპეციფიკა უყენებს მოსწავლეებს. აუცილებელია აგრეთვე, დავადგინოთ, თუ რამდენად ითვალისწინებს არსებული, მოქმედი მეთოდიკა საგნის სპეციფიკას და უპასუხებს თუ არა ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს. ამრიგად, სწავლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას არა მარტო ის, რაც ხელს უწყობს მასწავლებელს ამ პროცესში, არამედ ისიც, რაც ხელს უშლის.